ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6601679

ნომერი: AR1980434

თარიღი : 25.07.2023

გაცემის თარიღი : 08.08.2023

გაცნობის თარიღი : 08.08.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის II ჩიხი, N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბაადურ ჯინჭარაძე პ/ნ 01024050001
- თბილისი ლიხაურის ჩიხი N 3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04/11/2019 წლის N4735312 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე :
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 25/07/2023 წლის AR1980434 განცხადებით მომართა მოქალაქე ბაადურ ჯინჭარაძემ და მოითხოვა სამსახურის 04/11/2019 წლის N4735312 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, საპროექტო ობიექტის ფუნქციურ დანიშნულებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04/11/2019 წლის N4735312 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, ხიზაბავრის ქუჩა N13-ის მიმდებარედ (ს/კ

01.11.12.018.232, ფართობი:2818.0კვ.მ) ; ქალაქი თბილისში , გლდანის "ა" მ/რ , ხიზანიშვილის ქუჩის მიმდებარედ (ს/კ N 01.11.12.018.146, ფართობი: 370.0 კვ.მ.) და ქალაქი თბილისში , ხიზანიშვილის ქუჩა (ს/კ N 01/11/12/018/227, ფართობი: 1700.0 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსი-შენობის აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04/11/2019 წლის N4735312 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და საპროექტო ობიექტად მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის ნაცვლად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90% საცხოვრებელი, 10% საზოგადოებრივი) დაფიქსირება.
ამასთან, სამსახურის 04/11/2019 წლის N4735312 ბრძანების საფუძველზე 31/07/2023 გაერთიანდა მიწის ნაკვეთები, მიმდინარე მდგომარეობით სამი მიწის ნაკვეთი წარმოდგენილია ერთ ნაკვეთად (ს/კ 01.11.12.018.818, ფართობი : 4888.0კვ.მ), მისამართი: ქ.თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის II ჩიხი, N5.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების შესაბამისად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობით სანებართვო დოკუმენტაციის შემუშავებისა და მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სამშენებლო განვითარების მიმართ დადგენილი მოთხოვნები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება 04/11/2019 წლის N4735312ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტის ფართის, საკადასტრო მონაცემების, კონფიგურაციის და ფუნქციასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 24 ოქტომბრის N ბ01.01222976 ბრძანების საფუძველზე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

1 . შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04/11/2019 წლის N4735312 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ:

- საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (90% საცხოვრებელი, 10% საზოგადოებრივი)
- მიწის ნაკვეთის მისამართი:ქ.თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის II ჩიხი, N5 (ს/კ 01.11.12.018.818, ფართობი : 4888.0კვ.მ).

<u>გაფრთხილება:</u>

- მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: „შენობანაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით“.
- პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის სტადიაზე გათვალისწინებულ იქნეს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პოზიცია.
- პროექტის შეთანხმების სატადიაზე წარმოდგენილ იქნეს გაერთიანებული საკადასტრო გეგმა.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04/11/2019 წლის N4735312 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.